


MDF

მედიის განვითარების ფონდი

# ყოველწლიური ანგარიში 2023

MDF
მედიის განვითარების ფონდი

# ყოველწლიური ანგარიში 2023




# აღმასრულებელი დირექტორის წერილი

ძვირფასო მეგობრებო,

2023 წელი ჩვენი ორგანიზაციისთვის ძალიან შრომატევადი, მაგრამ ბევრი დადებითი სიახლის მომტანი იყო. მედიის განვითარების ფონდს არაერთი მიზეზი გვაქვს, ვიამაყოთ ჩვენი საქმიანობით, META-სთან Facebook-ის მესამე მხარის ფაქტების გადამოწმების პროგრამასთან და EUvsDisinfo-თან თანამშრომლობით დაწყებული, გენდერული დეზინფორმაციის კვლევით, ჟურნალისტების მიმართ ონლაინ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლითა და მედიაწიგნიერების კიდევ უფრო აქტიურად გავრცელებით დამთავრებული.

დღევანდელ სწრაფადცვალებად საინფორმაციო სივრცეში, სადაც სიმართლე ხშირად დაფარული ან მიზანმიმართულად დამახინჯებულია, ფაქტების გადამოწმება არასოდეს ყოფილა ასე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი. ამ მიმართულებით მე და ჩემმა გუნდმა, ერთობლივად, დიდი შრომის ფასად და დონორი თუ პარტნიორი ორგანიზაციების დახმარებით, 2023 წელს ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონეზე არაერთი აქტივობა განვახორციელეთ.

2023 წელს „მითების დეტექტორი“ „ევროპული ფაქტების გადამოწმების სტანდარტების ქსელს“ (EFCSN) შეუერთდა. ამ წელს პირველად საფუძველი ჩავუყარეთ ფაქტების გადამოწმების რეგიონულ კონფერენციას, რომელშიც 11 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ და რომელმაც დეზინფორმაციის კვლევით დაინტერესებულ პირებს არაერთი საინტერესო სემინარი და დისკუსია შესთავაზა.

მედიის განვითარების ფონდი და „მითების დეტექტორი“ კვლავ მოწინავე იყო, როგორც კრემლის ინფორმაციული ოპერაციების, ასევე გენდერული დეზინფორმაციის და ადგილობრივი არადემოკრატიული აქტორების კოორდინირებული არაავთენტური ქცევის გამოვლენის მხრივ.

ცნობილი ფინელი ჟურნალისტის, ჯესიკა აროს წიგნის „პუტინის ტროლების“ თარგმანით და გამოცემით, რაშიც პარტნიორობას ილიას უნივერსიტეტი გვიწევდა, ჩვენ ქართველ მკითხველს ინფორმაციული მანიპულაციის თემაზე კიდევ ერთი საინტერესო პუბლიკაცია შევძინეთ.

ჩვენს ყველაზე საყვარელ საქმიანობად კვლავ ახალგაზრდებისთვის მედიაწიგნიერებაზე ცოდნის გაზიარება და ჩვენი საგანმანათლებლო პროექტები რჩებოდა. წარმატებული კურსდამთავრებულების ჩვენს ოფისში დასაქმების პრაქტიკისთვის არც 2023 წელს გვიღალატია. ტრენინგების და კონკურსების გარდა, ჩვენს აქტივობებს ფილმების ჩვენებისა და დისკუსიების ფორმატი დაემატა.

მინდა, მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც 2023 წელს ჩვენს პროექტებსა თუ აქტივობებში სხვადასხვა ფორმით იყო ჩართული, ასევე, ჩვენს დონორ ორგანიზაციებსა და პარტნიორებს – მათი დახმარების გარეშე ბევრი სასიკეთო საქმის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა. ამასთან, მადლიერება მინდა გამოვხატო ჩვენი ონლაინ პლატფორმების მკითხველების მიმართ, ვინც ჩვენთან ერთად ცდილობს, წვლილი შეიტანოს მედიაეკოსისტემის გაჯანსაღებისა და მედეგი საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობაში.

**თამარ კინწურაშვილი**

*აღმასრულებელი დირექტორი*

# სარჩევი

06 ვინ ვართ ჩვენ

08 MDF რიცხვებში

09 მნიშვნელოვანი აქტივობები

1

10 კვლევები

11 1. ფაქტების გადამოწმების პროგრამა

11 1.1 მითების დეტექტორი და Meta-ს ფაქტების გადამოწმების პროგრამა

11 1.2 12 ჩასწორებული მასალა და ანგარიშვალდებულება აუდიტორიის წინაშე!

12 1.3 AI ფაქტების გადამოწმებაში და „მითების დეტექტორის“ სამენოვანი ჩატბოტი

13 1.4 მითების დეტექტორის წევრობა EFCSN-სა და IFCN-ში

14 1.5 კვირის დეზინფორმაციის დაიჯესტი

14 2. კოორდინირებული არაავთენტური ქცევა (CIB) და დისკრედიტაციის კამპანიები

15 3. ანტიდასავლური პროპაგანდა

16 4. გენდერული კვლევები

17 5. სიძულვილის ენის კვლევა

17 6. მედიის ფინანსური გამჭვირვალობა

2

18 მედია და ინფორმაციული წიგნიერება

18 1. მედიაწიგნიერების პროგრამები ახალგაზრდებისთვის

18 1.1 ხარისხიანი მედია და მედიის გაცნობიერებული მოხმარება მედეგი საზოგადოებისთვის (ConMeCo)

19 1.2 მითების დეტექტორის ლაბორატორია

23 1.3 მედია და ციფრული წიგნიერების ტრენინგები რეგიონული ცენტრებისთვის

24 2. მედიაწიგნიერების სასწავლო კურსი მასწავლებლებისთვის ილიას უნივერსიტეტში

24 3. მედიაწიგნიერების რესურსების შექმნა

24 3.1. ჰაკათონი #Truthtechthon

26 3.2.ონლაინ თამაში „ოპერაცია ინფექცია!“

26 4. საინფორმაციო კამპანიების მეშვეობით მედიაწიგნიერებაზე ცნობიერების ამაღლება

3

28 მედია პროგრამები

28 1. პროფესიული ტრენინგები ჟურნალისტებისთვის

30 2. მედიის გამჭვირვალობის ხელშეწყობა

31 3. მედიის თვითრეგულირებისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობა

4

33 დემოკრატიის პროგრამა ახალგაზრდებისთვის

5

35 რეგიონული თუ საერთაშორისო ორგანიზაციები

35 1. „გამოავლინე სიმართლე: აღმოსავლეთ პარტნიორობის ფაქტების გადამოწმების“ რეგიონული კონფერენცია

37 2. MDF UNESCO-ს მედიაწიგნიერების გლობალურ კვირეულს შეუერთდა

38 3. „განაიარაღე დეზინფორმაცია“ – MediaWise-თან და ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრთან (ICFJ) თანამშრომლობა

39 4. საერთაშორისო პარტნიორობა შრილანკასთან

39 5. მედიაწიგნიერების ტრენინგი ერევნის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის

39 6. მონაწილეობა საერთაშორისო ღონისძიებებში

6

42 პუბლიკაციები და რეფერირება

7

44 დონორები და პარტნიორები 2023 წელს

8

46 ბიუჯეტი

# ვინ ვართ ჩვენ

## ჩვენ შესახებ

მედიის განვითარების ფონდი (MDF) მედიის კვლევების და კომუნიკაციის მიმართულებით წამყვანი ქართული არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც სპეციალიზებულია უცხო ქვეყნის საინფორმაციო გავლენებისა და შიდა პროპაგანდის კვლევაში, ყალბი ამბების იდენტიფიცირებასა და გადამოწმებაში. MDF, რომელსაც კარგად განვითარებული მედიაწიგნიერების პროგრამები და გამოცდილი ფაქტების ანალიტიკოსები ჰყავს, მიზნად ისახავს მედიის მომხმარებელთა შორის კრიტიკული აზროვნების განვითარებას და ყალბ ინფორმაციასთან ბრძოლის მნიშვნელობაზე ცნობიერების ამაღლებას. მედიის განვითარების ფონდი ხელს უწყობს ხარისხიან ჟურნალისტიკას და მედიის პროფესიულ განვითარებას სასწავლო რესურსების შექმნის, პროფესიული ტრენინგებისა და მედიის თვითრეგულირების გაძლიერების გზით.



## ჩვენი მისია

მედიის განვითარების ფონდის მიზანია ხელი შეუწყოს:

- ადამიანის ფუნდამენტური უფლებების და თავისუფლებების დაცვას; ღია, ინკლუზიური და პლურალისტური საზოგადოების ჩამოყალიბებას;
- სანდო და ხარისხიანი ინფორმაციის უზრუნველყოფით, საზიანო ინფორმაციის იდენტიფიცირებითა და წყაროების გამჭვირვალობის უზრუნველყოფით, დემოკრატიულ საზოგადოებაში ინფორმირებული არჩევანის გაკეთებას;
- ახალ მედია ეკოსისტემაში კრიტიკული აზროვნების ხელშეწყობას და მედიის გაცნობიერებული მოხმარების გზით მოქალაქეების მედეგობის გაზრდას;
- მედიის პროფესიულ და ინსტიტუციურ განვითარებას; მედიის ანგარიშვალდებულების სისტემების, თვითრეგულირების მექანიზმების დამკვიდრებას.

## პროგრამული მიმართულებები

მედიის განვითარების ფონდის საგანმანათლებლო, კვლევითი და ადვოკატირების მიმართულებები შემდეგ აქტივობებს მოიცავს:

- **საგანმანათლებლო:** მედიაწიგნიერება, ჟურნალისტთა პროფესიული განვითარება, აკადემიასთან და პედაგოგებთან თანამშრომლობა ტრენინგებისა და სასწავლო რესურსებით აღჭურვის გზით.
- **კვლევითი:** ფაქტების გადამოწმება, სიძულვილის ენის და ანტიდასავლური განწყობების კვლევა, მავნე აქტორების შესწავლა, სოციალურ ქსელში კოორდინირებული არაავთენტური ქმედებების (CIB) კვლევა, მედიის ფინანსური გამჭვირვალობის შესწავლა.
- **ადვოკატირება:** ჟურნალისტთა და მედიის მომხმარებელთა უფლებების, პოლიტიკის საკითხების ადვოკატირება; ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება დემოკრატიასა და ფუნდამენტურ უფლებებზე დისკუსიების ხელშეწყობის გზით.

## ჩვენი გუნდი

მედიის განვითარების ფონდს

33 **თანამშრომელი,**

4 **კონტრიბუტორი** და

10 **მოხალისე** ჰყავს.

## გამგეობის წევრები

**თამარ კინწურაშვილი**
*აღმასრულებელი დირექტორი*

**თამარ ხორბალაძე**
*გამგეობის თავმჯდომარე*

**ქეთევან მსხილაძე**
*გამგეობის წევრი, გენდერული პროგრამების დირექტორი*

**თამარ შამილი**
*გამგეობის წევრი*

**ბექა მინდიაშვილი**
*გამგეობის წევრი, სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი*

**ლევან გიორგაძე**
*გამგეობის წევრი*

**ლალი ცქიტიშვილი**
*გამგეობის წევრი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი*

# MDF რიცხვებში

## ტრენინგები, დისკუსიები, კონკურსები

- ჩავატარეთ 55 ტრენინგი, 2 კინოჩვენება და დისკუსია
- დავატრენინგეთ: 717 ახალგაზრდა და 62 ჟურნალისტი
- მითების დეტექტორის ლაბორატორიამ 4 ქვეყანა მოიცვა და 58 კურსდამთავრებული ჰყავდა
- ვეწვიეთ 19 ქალაქსა და სოფელს
- ილიას უნივერსიტეტში პედაგოგთა მედიაწიგნიერების პროგრამა 17 სტუდენტმა გაიარა
- ჩავატარეთ ჰაკათონი, რომელშიც 30 გუნდი (95 ახალგაზრდა) მონაწილეობდა
- კონკურსებში 13 ინდივიდუალური და 3 ჯგუფური გამარჯვებული გამოვავლინეთ

## ხილვადობა ტრადიციულ და სოციალურ მედიაში

- ჩვენი საქმიანობა მედიაში 76-ჯერ გაშუქდა
- MDF-ის ფეისბუქის გვერდს 3,074,279 მკითხველი მიწვდა
- „მითების დეტექტორის" ფეისბუქის გვერდს 5,797,859 მკითხველი მიწვდა
- „მითების დეტექტორის" ინსტაგრამ გვერდს 429,434 ვიზიტორი ჰყავდა
- „მითების დეტექტორის" ტიკტოკს ვიდეოებს 71,079-ჯერ უყურეს
- „მითების დეტექტორის" ტვიტერის გვერდს 300,000 მკითხველი მიწვდა
- „მითების დეტექტორის" ვებ-გვერდს 1,400,000 მკითხველი ჰყავდა

## კვლევა და ფაქტების გადამოწმება

- გამოვეცით 4 კვლევის ანგარიში
- გამოვავლინეთ CIB-ის 4 შემთხვევა

## „მითების დეტექტორმა" 2023 წელს:

- 590 სტატია მოამზადა,
- გამოდიოდა 3 ენაზე,
- შევქმნა 4-ენოვანი ჩატბოტი ტელეგრამზე
- გამოსცა 47 დეზინფორმაციის დაიჯესტი

## გამოვეცით

5 პუბლიკაცია

## შევქმენით

1 ონლაინ თამაში და ჰაკათონის გამარჯვებული 3 პროექტი გამოვავლინეთ

## განვახორციელეთ

8 პროექტი

## ჩავატარეთ

1 რეგიონული კონფერენცია რომელშიც 11 ქვეყნის 100-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა

# მნიშვნელოვანი აქტივობები

- 2023 წელს „მითების დეტექტორი“ „ევროპული ფაქტების გადამოწმების სტანდარტების ქსელის“ (EFCSN) წევრი გახდა.
- საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით მითების დეტექტორს ტელეგრამზე 4 ენოვანი ჩატბოტი დაემატა, რომელიც მომხმარებელს AI-ის მეშვეობით გადამოწმებული ინფორმაციის სწრაფად პოვნასა და ფაქტების გადამმოწმებლებთან კომუნიკაციაში ეხმარება.
- გამოვეცით მნიშვნელოვანი კვლევები, რომლებიც სექსისტურ ენასა და გენდერული დეზინფორმაციას, ასევე ანტიდასავლური დისკურსს და მავნე აქტორებს სწავლობს.
- DW Akademie-სთან და UNAG-თან ერთად ჩავატარეთ აღმოსავლეთ პარტნიორობის ფაქტების გადამოწმების ორგანიზაციების პირველი რეგიონული კონფერენცია „გამოავლინე სიმართლე: აღმოსავლეთ პარტნიორობის ფაქტების გადამოწმება“, რომელშიც 11 ქვეყნის წამყვანი ექსპერტები და ტრენერები მონაწილეობდნენ.
- ვთარგმნეთ და კონფერენციის ფორმატში წარვადგინეთ ცნობილი ფინელი ჟურნალისტის ჯესიკას აროს წიგნი „პუტინის ტროლები“.
- მედიის განვითარების ფონდისა (MDF) და დოიჩე ველე აკადემიის (DWA) მედიაწიგნიერების პროგრამა „მითების დეტექტორის ლაბორატორია“ 2023 წელს რეგიონული პროექტი გახდა და საქართველოსთან ერთად, აზერბაიჯანს, სომხეთს და უკრაინასაც ფარავს.
- მონაწილეობა მივიღეთ პოინტერის ინსტიტუტის ფაქტების გადამოწმების საერთაშორისო ქსელის ყოველწლიურ კონფერენციის – #GlobalFact10-ის პანელურ დისკუსიაში და სხვა საერთაშორისო ღონისძიებებში.

# 1 კვლევები

მედიის განვითარების ფონდი მანიპულაციურ მედია შინაარსს რამდენიმე მიმართულებით სწავლობს:

1. უცხო ქვეყნის საინფორმაციო გავლენები
   (რუსეთის სამთავრობო მედიის პირდაპირი პროპაგანდა და ირიბი ანტიდასავლური პროპაგანდა);
2. შიდა პოლიტიკური პროპაგანდა
   (სოციალურ მედიაში პოლიტიკური მიზნებით ტროლების და ყალბი გვერდების გამოყენება);
3. ეკონომიკური მიზნით ყალბი ინფორმაციის გავრცელება
   (clickbait საიტები, თაღლითური გვერდები).

უცხო ქვეყნების საინფორმაციო გავლენის და ცალკეული ადგილობრივი აქტორების დეზინფორმაციული აქტივობების გამოვლენისას მედიის განვითარების ფონდი 4 საფეხურიან მიდგომას იყენებს, რომელიც შემდგომ კომპონენტებს მოიცავს:

1. იდენტიფიცირება
2. დეკონსტრუირება
3. წყაროების გამჭვირვალობის შესწავლა
4. განმარტება



# 1. ფაქტების გადამოწმება

## 1.1 მითების დეტექტორი და META-ს ფაქტების გადამოწმების პროგრამა

Meta-ს მესამე მხარის ფაქტების გადამოწმების პროგრამის ფარგლებში „მითების დეტექტორი“ (www.mythdetector.ge) 2023 წელს ყალბ ინფორმაციის გადამოწმებას საქართველოს გარდა რუსეთში, უკრაინასა და ბელორუსშიც აგრძელებდა.

გამოცემამ 2023 წელს სულ 590 სტატია მოამზადა, აქედან 301, ქართულთან ერთად, რუსულ წყაროებში გავრცელებულ თემებს ეხებოდა. „მითების დეტექტორის“ მიერ გამოვლენილი პრობლემური შინაარსის ყველაზე დიდი წილი ვიზუალურ მანიპულაციაზე (33,5%) მოდის, რომელსაც მცირედი სხვაობით დეზინფორმაცია (28,9%) მოსდევს, შედარებით მცირე იყო სხვა ტიპის დარღვევები, მათ შორის თაღლითობის (2,8%) შემთხვევები.

დიაგრამა 1. მითების დეტექტორის მიერ 2023 წელს გამოვლენილი შინაარსის ტიპოლოგია




„მითების დეტექტორი“ ფეისბუქზე გავრცელებული ინფორმაციის სიზუსტეს სწავლობს და აფასებს, რაც ახალი ამბების ავთენტურობის დადგენასა და საზოგადოების ინფორმირებას ემსახურება.

„მითების დეტექტორი“ ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზეა ხელმისაწვდომი, გასულ წლებში კი აზერბაიჯანულენოვან და სომხურენოვან ენებზეც ითარგმნებოდა.

## 1.2 12 ჩასწორებული მასალა და ანგარიშვალდებულება აუდიტორიის წინაშე

Facebook-ის ფაქტების გადამოწმების პროგრამა სოციალური ქსელების მომხმარებელთა პასუხისმგებლობის გაზრდას და აუდიტორიის წინაშე ანგარიშვალდებულებას უწყობს ხელს. „მითების დეტექტორის“

მიერ შეფასებული მცდარი ინფორმაციის თანაზომადი ფორმით ჩასწორების შემთხვევაში, პოსტის შეფასების გადახედვა და მონიშვნის გაუქმება ხდება.

2023 წელს „მითების დეტექტორის“ მიერ ფეისბუქის პოსტების შეფასების შემდეგ, 12 შემთხვევაში გავრცელებული ინფორმაციის ავტორებმა პირველადი პოსტების ჩასწორება და აუდიტორიის თანაზომადი ფორმით ინფორმირება მოახდინეს. თანაზომადი ფორმით შესწორება გულისხმობს დაშვებული შეცდომის შესახებ მკითხველის მკაფიოდ ინფორმირებას, ცვლილებების იმავე ბმულზე შეტანის გზით, რომელზეც საწყისი სადავო შინაარსი გავრცელდა. აღნიშნული მექანიზმი საზოგადოების სათანადოდ ინფორმირებას უწყობს ხელს და როგორც ტრადიციულ მედიას, ასევე ფეისბუკის ინდივიდუალურ მომხმარებელს საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულს ხდის.

## 1.3 AI ფაქტების გადამოწმებაში და „მითების დეტექტორის“ სამენოვანი ჩატბოტი

2023 წელს „მედიის განვითარების ფონდმა“ (MDF) ესპანურ ფაქტების გადამოწმების ორგანიზაცია Maldita.es-თან პარტნიორობით „მითების დეტექტორის“ სამენოვან ჩატბოტზე მუშაობა დაიწყო.




ერთობლივი პროექტი, რომელშიც საქართველოს გარდა, უკრაინის, ლიეტუვას, ასევე ლათინური ამერიკის ოთხი ქვეყნის (არგენტინა, ვენესუელა, კოლუმბია და მექსიკა) ფაქტების გადამოწმების პლატფორმა მონაწილეობს, მიზნად ისახავს შეტყობინებების აპლიკაციებში ტექნოლოგიური შესაძლებლობების გაუმჯობესებას, დეზინფორმაციის აღმოჩენის, ანალიზისა და კლასიფიკაციის მიზნით.

2023 წლის ბოლოს Maldita.es-ის დახმარებით „მითების დეტექტორისთვის“ ტელეგრამის სამენოვანი ჩატბოტი შეიქმნა, რომელიც ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე ფუნქციონირებს. ჩატბოტი მომხმარებელს შესაძლებლობას აძლევს:

- AI-ის მეშვეობით უკვე გადამოწმებული ინფორმაცია მარტივად იპოვოს
- დაუკავშირდეს **„მითების დეტექტორის“** რედაქციას, სადაც მის მიერ მიწოდებულ ფოტო, ვიდეო, აუდიო ან ტექსტურ მასალას გადაამოწმებენ
- მიიღოს **კვირის დაიჯესტი** საქართველოში, რუსეთსა და უკრაინაში გავრცელებულ ყალბ ამბებზე ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე
- განივითაროს **მედიაწიგნიერების** უნარები.

2024 წელს აღნიშნილი პროექტის ფარგლებში ტრანსსასაზღვრო კვლევების წარმოებაა გათვალისწინებული, რომელშიც Maldita.es-თან და მითების დეტექტორთან ერთად შემდეგი ორგანიზაციები არიან ჩართული: StopFake (უკრაინა), DELFI Melo Detektorius (ლიეტუვა), Chequeado (არგენტინა), Animal Político (მექსიკა), La Silla Vacía (კოლუმბია) და Es Paja (ვენესუელა). აღნიშნული აქტივობები პროექტის „აღმოსავლეთ ევროპის, ევრაზიისა და ლათინური ამერიკის ფაქტების გადამოწმების ორგანიზაციების ტექნოლოგიური შესაძლებლობების გაძლიერება კერძო შეტყობინებების აპლიკაციებში რეგიონთაშორის და გლობალურ დეზინფორმაციასთან საბრძოლველად“ ფარგლებში ხორციელდება.

## 1.4 მითების დეტექტორის წევრობა EFCSN-სა და IFCN-ში

2023 წელს „მითების დეტექტორი“ „ევროპული ფაქტების გადამოწმების სტანდარტების ქსელის“ (EFCSN) წევრი გახდა და თავის საქმიანობაში EFCSN-ის სტანდარტების კოდექსით ხელმძღვანელობს.




ამავე დროს ორგანიზაციამ პოინტერის ინსტიტუტის ფაქტების გადამოწმების საერთაშორისო ქსელის (IFCN) წევრობა განაახლა, რომელსაც 2019 წლიდან შეუერთდა და გაერთიანების სარედაქციო კოდექსის პრინციპებს მისდევს.

### 1.5 კვირის დეზინფორმაციის დაიჯესტი




მედიის განვითარების ფონდი (MDF) დაინტერესებულ პირებს ყოველკვირეულ ინგლისურენოვან ბიულეტენს „დეზინფორმაციის დაიჯესტი“ სთავაზობს, რომელიც მედია მონიტორინგის და ფაქტების გადამოწმების შედეგად კვირის განმავლობაში  გამოვლენილ ტენდენციებს მიმოიხილავს.

2023 წელს 47 ბიულეტენი მომზადდა, რომელიც ყოველკვირეულად მეილით 386 გამომწერს ეგზავნება. ბიულეტენის გამოცემები ასევე ხელმისაწვდომია „მითების დეტექტორის“ ვებ-გვერდზე.

## 2. კოორდინირებული არაავთენტური ქცევა (CIB) და დისკრედიტაციის კამპანიები

2023 წელს „მითების დეტექტორმა“ 4 კვლევა ჩაატარა, სადაც კოორდინირებული არაავთენტური ქცევა (CIB) და ოპონენტების წინააღმდეგ მიმართული დისკრედიტაციის კამპანიები იკვეთებოდა: ერთი შემთხვევა ევროკავშირის წინააღმდეგ გასართობი და ანონიმური გვერდების დასპონსორებულ კამპანიას ეხებოდა; მეორე — ე.წ. „აგენტების კანონის“ დასაცავად და საპროტესტო აქციების წინააღმდეგ სახელისუფლებო და კრემლისტური აქტორების კამპანიას, რომელშიც 33 ფეისბუქ გვერდი და 27 ყალბი ანგარიში იყო ჩართული; მესამე კვლევა „აგენტების“ კანონის წინააღმდეგ საპროტესტო აქციების დროს დაკავებული ლაზარე გრიგორიადისის წინააღმდეგ იყო მიმართული; მეოთხე შემთხვევა კი  ფილოლოგ ლევან ბერძენიშვილის წინააღმდეგ სახელისუფლებო და კრემლისტური ჯგუფების კოორდინირებულ მადისკრედიტირებელ კამპანიას შეეხებოდა.












## 3. ანტიდასავლური პროპაგანდა

2023 წელს მედიის განვითარების ფონდმა ანტიდასავლური პროპაგანდის შესახებ ყოველწლიური კვლევა გამოაქვეყნა, რომელიც 2022 წლის ტენდენციებს ასახავს.




კვლევა, რომელიც ანტიდასავლური გზავნილების ტიპოლოგიას და მათ წყაროებს მიმოიხილავს, ტრადიციული მედიის (სატელევიზიო, ბეჭდვითი და ონლაინ გამოცემები) მონიტორინგის შედეგებს ასახავს, რომელშიც დაკვირვება როგორც მედია საშუალებებზე, ასევე სხვა წყაროებზე – პოლიტიკურ კლასზე, სასულიერო პირებზე, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და საზოგადოების ცალკეულ წარმომადგენლებზე ხორციელდებოდა.

მედიის განვითარების ფონდი (MDF) ანტიდასავლური პროპაგანდის კვლევას 2014-2020 წლებში ყოველწლიურად გამოსცემდა. ანგარიშს მედიის განვითარების ფონდი (MDF) USAID-ის „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“ პროგრამის ფარგლებში გამოსცემს, რომელიც საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) მიერ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

## 4. გენდერული კვლევები

მედიის განვითარების ფონდი წინა წლის მსგავსად სექსისტური ენისა და გენდერული დეზინფორმაციის კვლევას 2023 წელსაც განაგრძობდა.

2023 წელს გამოვეცით „**გენდერული დეზინფორმაციის**“ შუალედური ანგარიში, რომელმაც იდენტობაზე დაფუძნებული დეზინფორმაციის 42 შემთხვევა გამოავლინა, აქედან 24 ჰომოფობიური შინაარსის იყო, 18 კი სექსისტურ, ან ქალებზე მორალური კრიტერიუმებით თავდასხმის მახასიათებლებს შეიცავდა.




მეორე შუალედური ანგარიში „**ანტიგენდერული და ანტი-ლგბტქი მობილიზება საქართველოში**“, რომელიც ასევე 2023 წელს გამოიცა, წლის პირველ ნახევარში სექსისტური ენის გამოყენების და ანტილიბერალური დისკურსის ტენდენციებს აანალიზებს და ორგანიზაცია „საფარის“ მიერ შემუშავებულ სექსისტური ენის 6 ინდიკატორს ეყრდნობა.



ორივე ანგარიში პროექტის „გენდერული დეზინფორმაცია და ინკლუზიური მედიაგაშუქება" ფარგლებში მომზადდა, რომელიც International Media Support-ის (IMS) მხარდაჭერით ხორიცელდებოდა. ანგარიში ასევე ეყრდნობა „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია" პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მედია მონიტორინგის მონაცემებს.

## 5. სიძულვილის ენის კვლევა

მედიის განვითარების ფონდი წლებია ქართულ მედიასა და საჯარო დისკურსში სიძულვილის ენას და მის წყაროებს იკვლევს. 2023 წლის მონიტორინგის შედეგები ყოველთვიურ ბიულეტენში **„არა ფობიას!"** არის ასახული.

2023 წელს „არა ფობიას!" 12 ქართულენოვანი და 12 ინგლისურენოვანი ბიულეტენი გამოიცა. „არა ფობიას!" სულ 334 გამომწერი ჰყავს.

მედია მონიტორინგი „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია" პროგრამის ფარგლებში ხორციელდება, რომელიც UNAG-ის მიერ USAID-ის მხარდაჭერით ხორციელდება.

## 6. მედიის ფინანსური გამჭვირვალობა

**მედიის ფინანსური გამჭვირვალობის** კვლევა, რომელიც მედიის განვითარების ფონდმა საანგარიშო პერიოდში  გამოსცა, 2023 წლის მონაცემებს აანალიზებს. ანგარიშში მიმოხილულია მაუწყებელთა ფინანსური შემოსავლები, ასევე რეკლამისა და ინფორმაციის გავრცელების მიზნით საბიუჯეტო კონტრაქტების განაწილების პრაქტიკა; ცალკე თავი ეთმობა სოციალურ მედიაში საბიუჯეტო თანხების ხარჯვას, მათ შორის კონტრაქტებს, რომლებითაც ცალკეულ მედიებს სხვადასხვა ფეისბუქ ჯგუფებსა და გვერდებზე მასალების განთავსება ევალებოდათ. კვლევის ბოლო ნაწილში მოცემულია ინფორმაცია სიძულვილის ენის და ანტიდასავლური სარედაქციო პოლიტიკის გამტარი იმ მედიების შესახებ, რომელთაც საბიუჯეტო ორგანიზაციებმა სარეკლამო მომსახურება დაუკვეთეს; ასევე იმ გამოცემების შესახებ, რომლებიც სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკას ატარებენ და ხშირად ხელისუფლების ოპონენტების მადისკრედიტირებელ კამპანიებში კოორდინირებულად ერთვებიან.

ანგარიში მომზადდა პროექტის „ხარისხიანი მედია და მედიის გაცნობიერებული მოხმარება მედეგი საზოგადოებისთვის (ConMeCo)" ფარგლებში, რომელსაც დოიჩე ველე აკადემია მედიის განვითარების ფონდთან და ადამიანის უფლებების ცენტრთან თანამშრომლობით ახორციელებს.



# 2 მედია და ინფორმაციული წიგნიერება (MIL)

2023 წელს მედიის განვითარების ფონდმა მედია და ინფორმაციული წიგნიერების მიმართულებით შემდეგი აქტივობები განახორციელა:

1. ტრენინგები ახალგაზრდებისთვის
2. მედიაწიგნიერების სასწავლო კურსი მასწავლებლებისთვის ილიას უნივერსიტეტში
3. მედიაწიგნიერების რესურსების შექმნა
4. მედიაწიგნიერებაზე ცნობიერების ამაღლება საინფორმაციო კამპანიების მეშვეობით

მედიაწიგნიერების პროგრამას 2023 წელსაც განსხვავებული  სამიზნე ჯგუფები ჰყავდა:

1. ახალგაზრდები
2. პედაგოგთა მომზადების პროგრამის სტუდენტები

## 1. მედიაწიგნიერების პროგრამები ახალგაზრდებისთვის

2023 წელს მედიის განვითარების ფონდმა ახალგაზრდებისთვის მედიაწიგნიერების 3 პროგრამა განახორციელა:

1. „ხარისხიანი მედია და მედიის გაცნობიერებული მოხმარება მედეგი საზოგადოებისთვის (ConMeCo)“
2. „მითების დეტექტორის ლაბორატორია“ – ინტენსიური 3,5 თვიანი საკვირაო კურსი ახალგაზრდებისთვის, რომელიც 2023 წლიდან რეგიონული გახდა
3. მედია და ციფრული წიგნიერების რეგიონული ცენტრებისთვის

### 1.1 ხარისხიანი მედია და მედიის გაცნობიერებული მოხმარება მედეგი საზოგადოებისთვის (CONMECO)

2023 წელს მედიის განვითარების ფონდმა, ევროკავშირის მხარდაჭერით და დოიჩეველე აკადემიისა (DWA) და ადამიანის უფლებათა ცენტრთან (HRC) თანამშრომლობით, ახალი პროექტის „ხარისხიანი მედია და მედიის გაცნობიერებული მოხმარება მედეგი საზოგადოებისთვის (ConMeCo)“ განხორციელება დაიწყო. პროექტის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი ტრენინგებისა და კონკურსების გზით მედია და ინფორმაციული წიგნიერებისა და დეზინფორმაციის მავნე გავლენის შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაა.




პროექტი რეგიონებში ახალგაზრდებისთვის მედიაწიგნიერების ტრენინგების ორგანიზებას ითვალისწინებს. აღნიშნული პროექტის ფარგლებში MDF-ის მედიაწიგნიერების გუნდმა 2023 წელს საქართველოს 8 ქალაქსა და დაბაში (ბათუმი, კასპი, ადიგენი, ნინოწმინდა, ახალდაბა, ქობულეთი, მარნეული, გორი) მედიაწიგნიერების თემაზე 8 ტრენინგი ჩაატარა, სადაც მონაწილეობა 201-მა ახალგაზრდამ მიიღო.

MDF-ის მედიაწიგნიერების პროგრამა აქტიური სწავლების მეთოდით ხორციელდება, რაც ახალგაზრდების პრაქტიკულ აქტივობებში ჩართვას გულისხმობს. ტრენინგი ინფორმაციის კრიტიკული ანალიზისა და OSINT-ის მეშვეობით ყალბი ინფორმაციის/ვიზუალის გადამოწმების უნარების განვითარებას ისახავს მიზნად.

### 1.2. მითების დეტექტორის ლაბორატორია

„მითების დეტექტორის ლაბორატორია“, რომელიც ფაქტების გადამოწმების პორტალის „მითების დეტექტორის“ ბაზაზე 2017 წელს დაფუძნდა, 2023 წელს რეგიონული პროექტი გახდა და ინგლისურენოვანი პროგრამა დაემატა, რომელიც აზერბაიჯანს, სომხეთს და უკრაინასაც ფარავს. 2023 წელს პროგრამას 58 კურსდამთავრებული ჰყავდა, აქედან 42 საქართველოდან, 6 სომხეთიდან, 6 აზერბაიჯანიდან, 4 უკრაინი-











დან. 2017 წლიდან კი მედიაწიგნიერების ეს პროგრამა, რომელსაც მედიის განვითარების ფონდი (MDF) და დოიჩე ველე აკადემიასთან (DWA) პარტნიორობით უკვე მეშვიდე წელია წარმატებით ახორციელებს, სულ 282-მა ახალგაზრდამ გაიარა.












პროგრამა ტრენინგების გარდა, სტაჟირებასაც ითვალისწინებს, რომლის ფარგლებში მონაწილეებმა 2017-2023 წლებში „მითების დეტექტორისთვის“ 600-მდე მასალა მოამზადეს. 2023 წელს მომზადებული მასალები მოიცავდა სხვადასხვა თემას, მათ შორის: რუსეთ-უკრაინის ომს, ისრაელ-ჰამასის კონფლიქტს, ვაქცინაციას, ონლაინ თაღლითობებს.

3,5 ნახევრიანი პროგრამის დასრულების ბოლოს იმართება კონკურსი, რომელიც საუკეთესო მულტიმედია ნაშრომების ავტორებს ავლენს. 2023 წელს 2 კონკურსის შედეგად ჟიურიმ 13 გამარჯვებული გამოავლინა. ესენი არიან:

1. **ლიზა ბარბაქაძე**
   უხილავი ქალაქები – ადრეული ქორწინების პოსტფაქტუმ გაშუქების ეფექტი
2. **ანასტასია ჯაფარიძე**
   იარე ლიზა: ქართული საზოგადოების გზა ოკუპირებული აფხაზეთისკენ მითებისა და რეალობის კვალდაკვალ
3. **ალისა ბაქრაძე**
   ჯავახეთი, როგორც „საფრთხე“ სეპარატიზმის მითი და რეალობა
4. **თეკლა ხარაზიშვილი**
   საქართველოს პოსტსაბჭოურობის ფაქტორი დასავლურ მედიაში
5. **თამარა ავაგიანი**
   Russian Propaganda’s Grip on Armenia’s Media Landscape
6. **მარიამ მიქიანი**
   ქართული ენა, როგორც იდენტობის განუყოფელი ნაწილი: რუსეთისა და ევროკავშირის პოლიტიკის შედარება
7. **ულვია კარიმოვა**
   The Role of Russian Propaganda in the Peace Between Azerbaijan and Armenia
8. **მარიამ რამაზაშვილი**
   „AI ჰალუცინაციები და ჩეთბოტების ინფორმაციული საფრთხე“
9. **თეიმურაზ კობახიძე**
   „მთავრობა „ფრანკლინის კლუბის“ წინააღმდეგ“
10. **პოლინა კულიში**
    How the disinformation is spreading during the war, challanges and mitigation strategies
11. **რიმა მარანგოზიანი**
    Khopan – Seasonal Work or Flow of Russian Propaganda
12. **სონა ჰოვსეფიანი**
    Are Armenians Living Better Now? Propaganda and Reality
13. **მარიამ გორდაძე**
    სამთავრობო პროპაგანდის გავლენა Gen Z-ის სტუდენტებზე

















**წარმატების ისტორიები:** „მითების დეტექტორის ლაბორატორიის“ წარმატების ერთ-ერთი ინდიკატორი, პროგრამის დასრულების შემდეგ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებაა. კურსდამთავრებულთა ნაწილი „მითების დეტექტორშია“ დასაქმებული, ნაწილი კონტრიბუტორის სახით აგრძელებს „მითების დეტექტორთან“ თანამშრომლობას, ნაწილი კი მიღებულ გამოცდილებას სხვა ორგანიზაციებში კვლევით და მედიაწიგნიერების პროგრამებში იყენებს.

**თეკლა ხარაზიშვილი,** რომელიც „მითების დეტექტორის ლაბორატორიის“ მე-13 გამოშვების კურსდამთავრებულია, ჩვენს გუნდს 2023 წელს შემოუერთდა.

> ამ პროგრამით მნიშვნელოვანი უნარები შევიძინე და განვივითარე, იქნება ეს საჯარო ინფორმაციასთან მუშაობა, ფაქტების გადამოწმება, თუ ფინალურ მულტიმედია პროექტზე მუშაობა“.






**ლუკა ჩიტიანი** მეორე რეგიონული ჯგუფის კურსდამთავრებულია, რომელიც „მითების დეტექტორთან“ თანამშრომლობას კონტრიბუტორის როლში აგრძელებს და ამჟამად ISFED-ის სოციალური მედიის მონიტორია.

> პროგრამისგან შევიძინე ბევრი ისეთი უნარი, რომელიც აუცილებლად დამეხმარება ჩემს მომავალ საქმიანობაში: უფრო კრიტიკულად შევხედო ისეთ საკითხებს, რომლებიც ერთი შეხედვით შეიძლება ნამდვილი ჩანდეს, რადგანაც ემოციებს იწვევს ჩვენში. გამიჩნდა სურვილი, რომ აქ მიღებული ცოდნა გავუზიარო სხვებსაც, რათა საზოგადოება უფრო მედეგი გახდეს“.

### 1.3 მედია და ციფრული წიგნიერების ტრენინგები რეგიონული ცენტრებისთვის



აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ხუთწლიანი პროგრამის „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“ ფარგლებში, რომელსაც საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) ახორციელებს, მედიის განვითარების ფონდი რეგიონული ცენტრებისთვის მედია და ციფრული წიგნიერების ტრენინგებს ახორციელებს. 2023 წელს ჩვენ 8 ქალაქში (ახმეტა; ახალქალაქი; ნინოწმინდა; გორი; მარნეული; ახალციხე; თელავი; ქუთაისი) 8 ტრენინგი ჩავატარეთ, რომელშიც 184 ახალგაზრდა მონაწილეობდა.



## 2. მედიაწიგნიერების სასწავლო კურსი მასწავლებლებისთვის ილიას უნივერსიტეტში

2019 წლიდან მედიის განვითარების ფონდმა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დანერგა კურსი „მედიაწიგნიერების სწავლება სკოლებში“, რომელსაც პედაგოგთა მომზადების პროგრამის მონაწილეები გადიან. 2023 წელს აღნიშნული კურსი 17-მა, ხოლო პროგრამის დაწყებიდან სულ 114-მა სტუდენტმა გაიარა.




## 3. მედიაწიგნიერების რესურსების შექმნა

2023 წელს მედიის განვითარების ფონდმა დეზინფორმაციის მიმართ საზოგადოების მედეგობის გაძლიერების მიზნით ტრენინგების გარდა შექმნა რესურსები და შემდეგი აქტივობები განახორციელა:

1. ჩაატარა ჰაკათონი, რომელმაც მედიაწიგნიერებისა და დეზინფორმაციასთან ბრძოლის მიმართულებით 3 ინოვაციური პროექტი გამოავლინა;
2. მოამზადა ონლაინ თამაში „ოპერაცია ინფექცია“.




### 3.1. ჰაკათონი #TRUTHTECHTHON

2023 წელს, 1-4 დეკემბერს, მედიის განვითარების ფონდმა ჩაატარა მედიაწიგნიერების ჰაკათონი #Truthtechthon. ჰაკათონი ჰიბრიდულ რეჟიმში წარიმართა, ამით მონაწილეებს შესაძლებლობა მიეცათ პროექტში საქართველოს ნებისმიერი წერტილიდან ჩართულიყვნენ.

ჰაკათონში მონაწილეობის მისაღებად სურვილი 150 ახალგაზრდამ (47 გუნდმა) გამოთქვა. პირველ ეტაპზე 30 გუნდი შეირჩა, ფინალში კი ინოვაციური იდეებით ჟიურის წინაშე 13 გუნდი წარსდგა.

ჰაკათონის გუნდები საკუთარ იდეებზე მენტორებთან ერთად მუშაობდნენ, რათა მედიაწიგნიერებისთვის და დეზინფორმაციასთან საბრძოლველად სასარგებლო ელექტრონული რესურსები შეექმნათ.




4 დეკემბერს, გაიმართა დასკვნითი ღონისძიება, სადაც სპეციალურად შერჩეულმა ჟიურიმ 3 გამარჯვებული გუნდი გამოავლინა, რომელთაც საპრიზო ფონდი პროექტების განსახორციელებლად გადაეცათ. ეს გუნდებია:

- EASYVERIFY – ბრაუზერის გაფართოება, რომელიც მომხმარებელს ნებისმიერი სახის ინფორმაციის გადამოწმებას სთავაზობს.
- NATSARKEKIA – 9-12 წლის ბავშვებისთვის განკუთვნილი ონლაინ თამაში, რომელიც ისეთი უნარების განვითარებას ემსახურება, როგორებიცაა: ცრუ ინფორმაციის გადამოწმება, წყაროების კრიტიკული ანალიზი, ფოტო მანიპულაციის ამოცნობა, პერსონალური მონაცემების დაცვა, კიბერ უსაფრთხოება.
- OPEN EVIDENCE – ონლაინ მედიის ავტომატიზირებული მონიტორინგის მიზნით, 'embedding' მოდელის შექმნა, შინაარსობრივი კლასტერების გამოვლენისა და კოორდინირებული კამპანიების შესწავლის გზით.

ჰაკათონი პროექტის „ხარისხიანი მედია და მედიის გაცნობიერებული მოხმარება მედეგი საზოგადოებისთვის (ConMeCo)" ფარგლებში ჩატარდა.

### 3.2.ონლიან თამაში „ოპერაცია ინფექცია!“

2023 წელს მედიის განვითარების ფონდის შემეცნებით ონლაინ თამაშებს კიდევ ერთი, **„ოპერაცია ინფექცია“** შეემატა. თამაშის იდეა KGB-ს ოპერაცია „დენვერს“, იგივე „ოპერაცია ინფექციას“ უკავშირდება. თამაშის მიზანია, შეამოწმოს, თუ რამდენად იცნობს მოთამაშე საბჭოთა პროპაგანდის მეთოდებს, რისთვისაც KGB-ს საიდუმლო ლაბირინთებში უნდა იმოგზაუროს და 4 ეტაპი გადალახოს, რაც აქტიური ღონისძიებებით გათვალისწინებული ინფორმაციული ოპერაციის განხორციელებით სრულდება.




## 4. საინფორმაციო კამპანიების მეშვეობით მედიაწიგნიერებაზე ცნობიერების ამაღლება

მედიაწიგნიერებაზე ცნობიერების ამაღლების მიზნით 6 ვიდეო რგოლი და პუბლიკასთან თანამშრომლობით 1 სიუჟეტი მოვამზადეთ. ვიდეორგოლები ეხებოდა ისეთ თემებს როგორიცაა:

- **ხელოვნური ინტელექტით (AI) გენერირებული შინაარსის ამოცნობა:**
  1. 5 ხერხი AI-ით გენერირებული ფოტოს ამოსაცნობად
  2. დგას თუ არა ეიფელის კოშკთან თივის ზვინები?











- **გენდერული დეზინფორმაცია:**
  განაიარაღე გენდერული დეზინფორმაცია სიმართლით!
- **ყალბი ინფორმაციის გადამოწმება:**
  დაარეპორტე ყალბი ინფორმაცია, ინფორმაციის გადამოწმების სანდო წყარო.






- **თამაშები:**
  მედიაწიგნიერების თამაშების პოპულარიზაცია
- **სიუჟეტი:**
  ინფორმაციული ქაოსის ფაზები და ყალბი ინფორმაციის გავრცელება

**„გაზომე სიმართლე!“**

ცნობიერების ამაღლების კამპანიაში ტრენინგის მონაწილე ახალგაზრდებიც იყვნენ ჩართული. მოვამზადეთ 2 ვიდეო რგოლი და საინფორმაცია ბარათები, რომლებშიც პროექტის „ხარისხიანი მედია და მედიის გაცნობიერებული მოხმარება მედეგი საზოგადოებისთვის (ConMeCo)“ ტრენინგის მონაწილე ახალგაზრდები, მედიაწიგნიერებაზე შეძენილ გამოცდილებას სხვებს უზიარებდნენ.



# 3 მედია პროგრამები

2023 წელს მედიის განვითარების ფონდის მიერ განხორციელებული მედია პროგრამები ძირითადად 3 კომპონენტს მოიცავდა:

1. პროფესიული ტრენინგები ჟურნალისტებისთვის
2. მედიის გამჭვირვალობის ხელშეწყობა
3. მედიის თვითრეგულირების და ანგარიშვალდებულების მექანიზმებზე მედიის მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლება სიმულაციური თამაშებისა და საინფორმაციო კამპანიების გზით

## 1. პროფესიული ტრენინგები ჟურნალისტებისთვის

2023 წელს, მედიის განვითარების ფონდმა ჟურნალისტებისთვის 3 ტრენინგი ჩაატარა, აქედან 2 გენდერის საკითხების ეთიკურ გაშუქებას და გენდერულ დეზინფორმაციას შეეხებოდა, 1 კი – ნატოს და უსაფრთხოების თემებზე ფაქტების გადამოწმებას და კიბერუსაფრთხობას.

**გენდერული საკითხების გაშუქება.** გენდერული საკითხების თემაზე, 2 პროფესიული ტრენინგის ფარგლებში, მედიის განვითარების ფონდმა 44 ჟურნალისტი გადაამზადა. პირველი ტრენინგი 7-9 ივლისს ვარძიაში გაიმარ-









თა, მეორე – 22-24 დეკემბერს ბორჯომში (ლიკანი). ცენტრალური და რეგიონული მედიის ჟურნალისტებმა პროფესიული მომზადება ისეთ საკითხებში გაიარეს, როგორიცაა:

- ფემინიზმის ისტორია;
- გენდერული საკითხების, მათ შორის ქალთა მიმართ ძალადობის, ეთიკური გაშუქება;
- ქალი ჟურნალისტების მიმართ ონლაინ ძალადობა;
- ინფორმაციის და ვიზუალის OSINT-ის მეშვეობით გადამოწმება;
- CIB და ქალთა მიმართ დისკრედიტაციის კამპანიები.

ტრენინგი ლექციების, სიმულაციების და პრაქტიკული სემინარების ფორმატში წარიმართა.








ტრენინგი მედიის განვითარების ფონდის პროექტის „გენდერული დეზინფორმაცია და ინკლუზიური მედიაგაშუქება" ფარგლებში, IMS (International Media Support)-ის დაფინანსებით ჩატარდა.

**ფაქტების გადამოწმება და კიბერუსაფრთხოება.** 2023 წლის 16-18 ივნისს, ნატოს სამეკავშირეო ოფისმა, მედიის განვითარების ფონდთან ერთად ბორჯომში ტრენინგი „დეზინფორმაციასთან ბრძოლა: ფაქტების გადამოწმება და კიბერუსაფრთხოება“ ჩაატარა.













ტრენინგი, რომელსაც საქართველოს რეგიონული მედიის და უმცირესობების ენებზე მომუშავე 18 ჟურნალისტი ესწრებოდა, ნატოს ირგვლივ გავრცელებულ ყალბ ინფორმაციას, ჰიბრიდული ომის გამოწვევებს, კიბერუსაფრთხოებას და ინფორმაციის გადამოწმების პრაქტიკულ ინსტრუმენტებს ეხებოდა. ტრენინგი ლექციისა და პრაქტიკული სემინარის სახით წარიმართა.

## 2. მედიის გამჭვირვალობის ხელშეწყობა

**პროექტის „ხარისხიანი მედია და მედიის გაცნობიერებული მოხმარება მედეგი საზოგადოებისთვის (ConMeCo)“** ფარგლებში მედიის განვითარების ფონდმა **ფინანსური გამჭვირვალობის** შესახებ კვლევა გამოსცა; ამასთანავე განახლდა **www.mediameter.ge**-ის მონაცემთა ბაზა, სადაც შემდეგი მონაცემებია თავმოყრილი:

- **მედია პროფილები:** ინფორმაცია მედიის მფლობელების, სარედაქციო პოლიტიკისა და ფინანსური შემოსავლების შესახებ;
- **მედია საქმეები:** ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ჟურნალისტებთან დაკავშირებული ინციდენტების და მათი სამართლებრივი სტატუსის შესახებ;
- **კვლევები:** მედიის ფინანსური გამჭვირვალობის შესახებ ყოველწლიური ანგარიშები;
- **თვითრეგულირების გზამკვლევი:** თუ როგორ უნდა გაასაჩივრონ მოქალაქეებმა ეთიკური წესების დარღვევები ჟურნალისტური ეთიკის ქარტიასა და მაუწყებელთა თვითრეგულირების ორგანოში.

## 3. მედიის თვითრეგულირებისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობა

საზოგადოების წინაშე მედიის ანგარიშვალდებულების გაზრდისა და თვითრეგულირების მექანიზმების დამკვიდრების ხელშეწყობის მიზნით მედიის განვითარების ფონდმა მოამზადა გზამკვლევები, თუ როგორ უნდა გასაჩივრდეს ეთიკური წესების დარღვევის შემთხვევები **ჟურნალისტური ეთიკის ქარტიისა** და **მაუწყებელთა თვითრეგულირების ორგანოში**.











პროექტის „ხარისხიანი მედია და მედიის გაცნობიერებული მოხმარება მედეგი საზოგადოებისთვის (ConMeCo)“ ფარგლებში კი საქართველოს 6 ქალაქსა და დაბაში (თელავი, ქუთაისი, ხულო, ყვარელი, ბათუმი, რუსთავი) მედიის თვითრეგულირების თემაზე იმიტირებული პროცესი ჩაატარა, რომელშიც 112 ახალგაზრდა მონაწილეობდა. იმიტირებული პროცესები შეეხებოდა ისეთ დილემურ ეთიკურ საკითხებს, როგორებიცაა:

- სიზუსტის პრინციპის დაცვა
- ბავშვთა საკითხების გაშუქება
- სიძულვილის ენა
- სექსუალური ძალადობის მსხვერპლის თემატიკის გაშუქება.

იმიტირებულ პროცესში მონაწილე ახალგაზრდები საინფორმაციო კამპანიაში ჩაერთვნენ და მათი მოსაზრებები ეთიკური და ანგარიშვალდებული მედიის მნიშვნელობაზე სოციალური მედიით გავრცელდა.






# დემოკრატიის პროგრამა ახალგაზრდობისთვის

4

2023 წელს, მედიის განვითარების ფონდმა (MDF) დანიურ ორგანიზაციასთან "The WHY Foundation" (TWF) პარტნიორობით დაიწყო ახალი პროექტი: ***„ვილაპარაკოთ დემოკრატიაზე: Demdocs ახალგაზრდებისთვის“.***

პროექტი – ***„ვილაპარაკოთ დემოკრატიაზე: Demdocs ახალგაზრდებისთვის“*** მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს ქართველი ახალგაზრდების ჩართულობას ქვეყნის დემოკრატიულ, სოციალურ-ეკონომიკურ და მდგრადი განვითარების პროცესებში.

დემოკრატიის პროგრამა, რომელიც თბილისსა და საქართველოს 5 ქალაქში/დაბაში (ახალციხე, ქუთაისი, ზუგდიდი, ხულო, ყვარელი) ხორციელდება, შემდეგ აქტივობებს მოიცავს:

1. დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებზე **დოკუმენტური ფილმების ჩვენება** და მოწვეულ სპიკერთან ერთად **დისკუსიის** გამართვა;
2. **ამბის თხრობის მედია ლაბორატორიის** ტრენინგი მულტიმედიურ ჟურნალისტიკაში, ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიაზე ბლოგის/ვლოგის მომზადება და პროგრამის შემაჯამებელ ღონისძიებაზე პრეზენტაცია;
3. ბლოგის/ვლოგის კონკურსი „ვილაპარაკოთ დემოკრატიაზე“.

პროექტი 2023 წლის სექტემბერში დაიწყო და 2024 წლის ოქტომბრამდე გრძელდება. 2023 წლის დეკემბრის მონაცემებით, ჩატარდა The Why Foundation-ის მიერ მოწოდებული და ქართულად გახმოვანებული დოკუმენტური ფილმების 2 ჩვენება – დისკუსია და მედიალაბის 4 ტრენინგი:

### ფილმების ჩვენება და დისკუსია

- 17 ნოემბერს, „ტოლერანტობის საერთაშორისო დღის“ აღსანიშნავად, ქუთაისში მოეწყო ფილმის „მაი ჰოი და დისიდენტები“ ჩვენება, რომელსაც კინომცოდნე თეო ხატიაშვილი უძღვებოდა.
- 10 დეკემბერს, ადამიანის უფლებების დღესთან დაკავშირებით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილმის „პუტინის კოცნა“ ჩვენება გაიმართა, დისკუსიას კი კინომცოდნე გოგი გვახარია უძღვებოდა.












2023 წელს კინოჩვენებას და დისკუსიას 80-მდე მონაწილე დაესწრო.

### ამბის თხრობის მედია ლაბორატორია

ამბის თხრობის მედია ლაბორატორიაში მონაწილეები დემოკრატიასა და ადამიანის უფლებების თემებზე ამბის სხვადასხვა ფორმით გადმოცემის ფორმატებს და სტრუქტურას სწავლობენ. ლაბორატორიის ფორმატში ისინი გეგმავენ და ამზადებენ ბლოგებს/ვლოგებს, რომელთა პრეზენტაციაც პროგრამის დასრულების შემაჯამებელ ღონისძიებაზე ხდება. პროგრამის დასრულების შემდეგ მონაწილეებს გადაეცემათ The Why Foundation-ის და MDF-ის ერთობლივი სერტიფიკატები.





პროექტის ფინალურ ეტაპზე გაიმართება კონკურსი **„ვილაპარაკოთ დემოკრატიაზე“**, რომელიც საუკეთესო მულტიმედია ნაშრომების (დემოკრატიის ან ადამიანის უფლებების თემაზე) ავტორებს გამოავლენს.

ამბის თხრობის ლაბორატორიის ტრენინგი 2023 წელს 34-მა ახალგაზრდამ გაიარა.

# 5 რეგიონული და საერთაშორისო ღონისძიებები

2023 წელს მედიის განვითარების ფონდი როგორც თავად იყო ახალი ფორმატების ინიციატორი, ასევე მონაწილეობდა პარტნიორი ორგანიზაციებისა და საერთაშორისო გაერთიანებების ღონისძიებებში:

- საფუძველი ჩაეყარა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ფაქტების გადამოწმების ორგანიზაციების პირველ რეგიონულ კონფერენციას;
- შევუერთდით Unesco-ს მედიაწიგნიერების გლობალურ კვირეულს;
- ჩავატარეთ ტრენინგები შრილანკელი ახალგაზრდებისა და ერევნის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის;
- მონაწილეობა მივიღეთ პოინტერის ინსტიტუტის ფაქტების გადამოწმების საერთაშორისო ქსელის ყოველწლიურ კონფერენციის – #GlobalFact10-ის პანელურ დისკუსიაში და სხვა საერთაშორისო ღონისძიებებში.

## 1. „გამოავლინე სიმართლე: აღმოსავლეთ პარტნიორობის ფაქტების გადამოწმების“ რეგიონული კონფერენცია

2023 წელს Deutsche Welle Akademie-სთან (DWA) და გაეროს ასოციაციასთან (UNAG) პარტნიორობით მედიის განვითარების ფონდმა საფუძველი ჩაუყარა რეგიონულ კონფერენციას სახელწოდებით „გამოავლინე სიმართლე: აღმოსავლეთ პარტნიორობის ფაქტების გადამოწმება“.






სამდღიანმა კონფერენციამ, რომელიც 20-22 სექტემბერს გაიმართა, გააერთიანა ფაქტების გადამმოწმებელი ორგანიზაციები, ექსპერტები და დაინტერესებული პირები მსოფლიოს 11 ქვეყნიდან. კონფერეცნიის ფორმატში 8 პანელური დისკუსია და 6 ვორქშოპი ჩატარდა, ამასთან ცნობილი ფინელი ჟურნალისტის ჯესიკა აროს წიგნის „პუტინის ტროლები" პრეზენტაცია გაიმართა.

კონფერენციის მიზანი რეგიონში მავნე ინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლისა და მედიაწიგნიერების ხელშეწყობა იყო.



საერთაშორისო კონფერენციის მთავარი მომხსენებლები იყვნენ:



**ᲯᲔᲡᲘᲙᲐ ᲐᲠᲝ** – ცნობილი ფინელი ჟურნალისტი და MDF-ის მიერ ქართულად ნათარგმნი წიგნის „პუტინის ტროლები" ავტორი.



**ᲡᲝᲤᲘ ᲘᲔᲠᲡᲘ** – META-ს სტრატეგიული პარტნიორობის განვითარების მენეჯერი ახალი ამბების ინტეგრაციასა და ტრენინგისთვის.






სამი დღის განმავლობაში ექსპერტებმა განიხილეს ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი, მათ შორის: ომის დროს ფაქტების გადამოწმება, დემოკრატიის დაცვა, პოლიტიკოსების დისკრედიტაციის კამპანიების კვლევა, გენდერული დეზინფორმაცია, მედია წიგნიერების ხელშეწყობა.





კონფერენციის პარალელურ სესიებზე ჩატარდა სემინარები OSINT-ის ინსტრუმენტებით ფაქტების გადამოწმებაზე, გეოლოკაციასა და ვიზუალურ მანიპულაციაზე.

კონფერეცნიის მუშაობაში ფაქტების გადამოწმების საერთაშორისო ქსელის (IFCN) წევრი ორგანიზაციები StopFake, Delfi, Demagog, StopFals, Fact Yoxla და სხვები მონაწილეობდნენ.

## 2. MDF UNESCO-ს მედიაწიგნიერების გლობალურ კვირეულს შეუერთდა

მედიის განვითარების ფონდი UNESCO-ს გლობალური მედიაწიგნიერების კვირეულს 2023 წელსაც შეუერთდა:

- 23 ოქტომბერს, MDF-მა კვირეული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აღნიშნა, სადაც სტუდენტებს MDF-ის საგანმანათლებლო ონლაინ თამაშები გააცნო და მინი-შეჯიბრის ფარგლებში სიმბოლური პრიზებიც გადასცა.
- 25 ოქტომბერს კი, მედიის განვითარების ფონდის წარმომადგენლები, ევროკავშირის ელჩის მოადგილე ასუნსიონ სანჩეს რუისსა და დოიჩე ველე აკადემიის წარმომადგენელ ნინო გოგოლაშვილთან ერთად, სოფ. აძვის საჯარო სკოლას ესტუმრნენ. MDF-მა, ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზთან მდებარე სკოლის ახალგაზრდებისთვის მედიაწიგნიერების ტრენინგი გამართა.





საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში MDF UNESCO-ს მედია და ინფორმაციული წიგნიერების ალიანსისა და დოიჩე ველე აკადემიის მედიაწიგნიერების ექსპერტთა ქსელის (MILEN) აქტიური წევრია. 2023 წელს ფაქტების გადამოწმებაში მოქალაქეების ჩართულობის გაზრდასთან დაკავშირებით გამოცდილების გასაზიარებლად MDF იორდანიაში **UNESCO-ს მედია და ინფორმაციული წიგნიერების საერთაშორისო კონფერენციაზე** იყო მიწვეული, რომელიც რეგიონში მიმდინარე საომარი ვითარების ფონზე გადაიდო.

## 3. „განაიარაღე დეზინფორმაცია" – MEDIAWISE-თან და ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრთან (ICFJ) თანამშრომლობა

2023 წელს მედიის განვითარების ფონდი, MediaWise-ისა და ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრის პროექტის „განაიარაღე დეზინფორმაცია" ერთ-ერთი სეგმენტის განხორციელებაში იყო ჩართული. პროექტის ფარგლებში კონკურსის შედეგად შერჩეულმა მონაწილეებმა ონლაინ ტრენინგი გაიარეს, კონკურსის შედეგად კი ტრენერები საქართველოდან, აზერბაიჯანიდან, უკრაინიდან, ბოსნია და ჰერცოგოვინადან და ალბანეთიდან, თავიანთ ქვეყნებში მედიაწიგნიერების პროექტების განსახორციელებლად შეირჩნენ.



## 4. საერთაშორისო პარტნიორობა შრილანკასთან

2023 წელს მედიის განვითარების ფონდმა შრილანკურ ორგანიზაცია International Youth Alliance for Peace-თან თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა. პარტნიორობის ფარგლებში შრილანკელ ახალგაზრდებს მედიაწიგნიერების მოკლე კურსი – 6 ონლაინ ტრენინგი ჩაუტარდათ. კურსი 21-მა მონაწილემ გაიარა.

## 5. მედიაწიგნიერების ტრენინგი ერევნის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის

29-30 მაისს, MDF-ის ოფისში სასწავლო ვიზიტით ერევნის ევრაზიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის (EIU) ფაკულტეტის 11 სტუდენტი იმყოფებოდა.

ორდღიანი მედიაწიგნიერების ტრენინგზე ახალგაზრდებმა ისწავლეს – ინფორმაციისა და წყაროების გადამოწმების ხერხები და ვიზუალური მანიპულაციებისა და სოც. მედიის ყალბი ანგარიშების ამოცნობა.

## 6. მონაწილეობა საერთაშორისო ღონისძიებებში

**#GLOBALFACT10.** პოინტერის ინსტიტუტის ფაქტების გადამოწმების საერთაშორისო ქსელის (IFCN) 2023 წლის სეულის კონფერენციაზე #GlobalFact10 გაიმართა პანელური დისკუსია **„სიმართლე ნანგრევებში“**, რომელშიც უკრაინის, ბრაზილიისა და ფილიპინების წარმომადგენლებთან ერთად MDF-ის აღმასრულებელმა დირექტორმა, თამარ კინწურაშვილმა მიიღო მონაწილეობა. სესიაზე მან ყურადღება უცხო ქვეყნის საინფორმაციო ოპერაციებსა და ხელისუფლების მიერ წარმართულ პროპაგანდისტულ კამპანიებზე გაამახვილა. სესიის მნიშვნელოვანი ნაწილი, ასევე, დაეთმო უკრაინაში რუსეთის ომის ფონზე გავრცელებულ ყალბ ინფორმაციასა და მასთან ბრძოლის ახალ სტრატეგიებს.





მედია საზოგადოებების დაკავშირება დეზინფორმაციის ეპოქაში. მითების დეტექტორის ინგლისურენოვანი რედაქტორი, სანდრო გიგაური კიშინიოვში ევროკავშირის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში „მედია საზოგადოებების დაკავშირება დეზინფორმაციის ეპოქაში“ მონაწილეობდა, სადაც უცხოური ინფორმაციის მანიპულაციისა და ჩარევის (FIMI) გამოწვევებზე იმსჯელეს.

- 13 ივნისს „მითების დეტექტორის“ რედაქტორის მოადგილემ, მაიკო რატიანმა, მოლდოვაში ორგანიზებულ პანელურ დისკუსიაზე პანდემიის პროცესში იმუნიზაციის პროცესზე დეზინფორმაციის გავლენაზე ისაუბრა.






- 25 მარტს MDF-ის წარმომადგენლებმა მარიამ დანგაძემ და მარიამ ტალახაძემ უკრაინის ქალაქ ტრუსკავეცში გამართულ ფორუმში – „მედიაწიგნიერება 5.0: გამოწვევებიდან გადაწყვეტილებებამდე“ მიიღეს მონაწილეობა.

- 9 თებერვალს, რეგიონული მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის სამართლიანი არჩევნები (ISFED)-ის მიერ გამართულ ონლაინ-დისკუსიაზე, მედიის განვითარების ფონდის (MDF) მკვლევარმა – სანდრო გიგაურმა, რუსულ ინფორმაციულ ომსა და მის ტენდენციებზე ისაუბრა.

მედიის განვითარების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა თამარ კინწურაშვილმა შემდეგ დისკუსიებსა და პანელურ პრეზენტაციებში მიიღო მონაწილეობა:

- 26 იანვარს მედიაში გენდერული დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიების შესახებ გამართულ რეგიონული კონფერენცია;
- 19 აპრილს UNDP in Europe and Central Asia-ის ახალი ანგარიშის – „ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში ინფორმაციული დაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების რეგიონული კვლევა და ანალიზი“;






- 14 სექტემბერს პოტსდამში საერთაშორისო M100 Sanssouci Colloquium;
- 17 ნოემბერს, Aspen Institute Romania-სა და The German Marshall Fund of the United States-ის მიერ ორგანიზებული ბუქარესტის ყოველწლიური ფორუმი;
- 6 დეკემბერს ნატოს სახალხო დიპლომატიის ოფისის მიერ ორგანიზებული სტრატკომების ექსპერტების ღონისძიება.

- 26 აპრილს ციფრული განვითარების გლობალურ ფორუმზე გამართული დისკუსია – „მცდარი, ყალბი და დამაზიანებელი ინფორმაციისადმი მედეგობის გაძლიერება საქართველოს ინფორმაციულ ეკოსისტემაში“;
- 9 ივნისს, საფრანგეთის საელჩოსა და საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის ორგანიზებით გამართული პანელი „ეთნიკური უმცირესობები და მცდარი ინფორმაცია: როგორ აღვადგინოთ მედიისადმი ნდობა?“;
- 22 ივნისს M100 Sanssouci Colloquium-ისა და Alfred Herrhausen Gesellschaft-ის ორგანიზებით გამართული დისკუსია „დემოკრატიის მედეგობა არასტაბილურ ეპოქაში“;



# 6 პუბლიკაციები და რეფერირება

2023 წელს მედიის განვითარების ფონდმა 4 ანგარიში და 1 წიგნი გამოსცა.

**„პუტინის ტროლები“:** ცნობილი ფინელი გამომძიებელი ჟურნალისტის, ჯესიკა აროს ბესტსელერის – „პუტინის ტროლების“ ქართულად თარგამნზე საავტორო უფლება MDF-მა მოიპოვა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად გამოსცა.

აროს წიგნმა „პუტინის ტროლები“ ნათელი მოჰფინა იმ ცრუ ტაქტიკებს, რომლებსაც ონლაინ ტროლები საზოგადოებრივი აზრით მანიპულირებისთვის იყენებენ.

**ანგარიშები:** 2023 წელს მომზადებული კვლევები ანტიდასავლურ პროპაგანდაზე, გენდერულ დეზინფორმაციასა და სექსისტურ ენაზე, ასევე ფინანსურ გამჭვირვალობაზე ხელმისაწვდომია MDF-ის ბიბლიოთეკაში.

MDF საერთაშორისო ანგარიშებში

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიურ ანგარიშში რელიგიის თავისუფლების შესახებ რელიგიური შეუწყნარებლობის თემაზე MDF-ის მედიამონიტორინგის მონაცემებია რეფერირებული.



მედიის განვითარების ფონდისა და მითების დეტექტორის კვლევები ამერიკული ორგანიზაციის “Freedom House”-ის ინტერნეტის თავისუფლების ანგარიშშიც არის მოხსენიებული.

### MDF საერთაშორისო გამოცემებში

2023 წელს მედიის განვითარების ფონდის საქმიანობასა და ფაქტების გადამოწმებისა და მედიაწიგნიერე-ბის პროგრამებზე არაერთი საერთაშორისო გამოცემა და ორგანიზაცია წერდა.

- ARTE
  EU-Beitritt: Wie frei ist die georgische Presse? – Die ganze Doku | ARTE
- POYNTER
  After protests, Georgia withdraws law that targets media, NGOs – Poynter
- POYNTER
  Misinformation about the Israel-Hamas war often follows similar false narratives – Poynter
- VOA
  What the Case of Georgia’s Only Jailed Journalist Means for the Country’s EU Aspirations
- EU EUNEIGHBOURS EAST
  https://euneighbourseast.eu/news/latest-news/georgia-youth-from-kaspi-adigeni-and-batumi-learn-to-identify-and-verify-misinformation/
- GOETHE INSTITUTE
  Die prorussische Politik der georgischen Regierung während des russischen Krieges in der Ukraine
- M100 SANSSOUCI COLLOQUIUM
  https://x.com/M100Colloquium/status/1702289373184552982

# 7 დონორები და საერთაშორისო პარტნიორები 2023

მედიის განვითარების ფონდი არაერთ საერთაშორისო ფორმატში თანამშრომლობს.

MDF წევრია:

- UNESCO-ის მედია და ინფორმაციული წიგნიერების ალიანსის საერთაშორისო ხელმძღვანელი კომიტეტის (ISC);
- დოიჩე ველე აკადემიის მედია და და ინფორმაციული წიგნიერების ქსელის (MILEN);
- ღია ინფორმაციული პარტნიორობის (OIP);
- პოინტერის ინსტიტუტის საერთაშორისო ფაქტების გადამოწმების ქსელის (IFCN).
- ევროპული ფაქტების გადამოწმების სტანდარტების ქსელის (EFCSN)

2020 წლიდან თანამშრომლობს კომპანია META-სთან Facebook-ის მესამე მხარის ფაქტების გადამოწმების პროგრამასთან და EUvsDisinfo-სთან, რომელიც ევროპის საგარეო სამოქმედო სამსახურის (EEAS) East StratCom სამუშაო ჯგუფის პროექტია.

## 2023 წელს მედიის განვითარების ფონდის პროექტების დონორები და პარტნიორები იყვნენ:

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

unag

ევროკავშირი საქართველოსთვის

Meta

U.S. Embassy Tbilisi

DW Akademie Made for minds.

german cooperation DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

IMS GOOD JOURNALISM | BETTER SOCIETIES

New Democracy Fund

THE WHY

MALDITA.ES

ICFJ International Center for Journalists

EFCSN European Fact-Checking Standards Network

Open Information Partnership

EU vs DiSiNFO

MediaWise

IFCN @Poynter.

# 8 2023 წლის ფინანსური ანგარიში

ორგანიზაციის მთლიანმა შემოსავალმა 2023 წელს შეადგინა 837,267.52 €, საიდანაც საგრანტო შემოსავალი იყო 39.94%, ხოლო 60.06% შემოსავალი სხვა კონტრაქტებიდან.

შემოსავლის წყაროები (ევრო)



| დაფინანსების წყარო, 2023 | პროექტის დასახელება | თანხა | % |
|---|---|---|---|
| Facebook (META) | ფეისბუქის მესამე მხარესთან პარტნიორობის ფაქტების გადამოწმების პროგრამა | € 485,000.00 | 57.93% |
| IREX | ტრენინგი ჟურნალისტებისთვის | € 3,800.00 | 0.45% |
| United Nations Association Georgia | ერთიანობა მრავალფეროვნებაშია პროგრამა: მედია მონიტორინგი, კვლევები, ციფრული წიგნიერება (USAID სამოქალაქო და ეკონომიკური ინტეგრაციის პროგრამა) | € 100,000.00 | 11.94% |
| European Union (in cooperation with Deutsche Welle) | ხარისხიანი მედია და მედიის გაცნობიერებული მოხმარება მედეგი საზოგადოებისთვის – ConMeCo | € 76,460.00 | 9.13% |
| DEUTSCHE WELLE | მითების დეტექტორის ლაბორატორია: მედიწაიგნიერების სკოლა ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი და უკრაინელი ახალგაზრდებისთვის | € 59,964.00 | 7.16% |
| ESN (EUROPEAN SERVICE NETWORK) | დეზინფორმაციის კვლევა/მედია მონიტორინგი | € 14,100.00 | 1.68% |
| IMS (international Media Support) | გენდერული დეზინფორმაცია და ინკლუზიური მედიაგაშუქება | € 67,703.00 | 8.09% |
| The Why Foundation | ვილაპარაკოთ დემოკრატიაზე: DemDocs ახალგაზრდებისთვის (StuDemDocs Georgia) | € 14,960.97 | 1.79% |
| FUNDACION MALDITA.ES CONTRA LA DESI | „აღმოსავლეთ ევროპის, ევრაზიისა და ლათინური ამერიკის ფაქტების გადამოწმების ორგანიზაციების ტექნოლოგიური შესაძლებლობების გაძლიერება კერძო შეტყობინებების აპლიკაციებში რეგიონთაშორის და გლობალურ დეზინფორმაციასთან საბრძოლველად“ | € 11,279.55 | 1.35% |
| NATO | „მედიაწიგნიერი სკოლები საზოგადოების მედეგობისთვის საქართველოში“ | € 4,000.00 | 0.48% |
| TOTAL | | 837,267.52 | 100% |

## ძირითადი ხარჯები კატეგორიის მიხედვით, 2023

| | |
|---|---|
| ხელფასები | € 401,989.45 |
| იჯარა და კომუნალური გადასახადები | € 19,897.91 |
| ოფისის მარაგები | € 3,668.79 |
| კომუნიკაციის, ბუსთინგის და სარეკლამო ხარჯები | € 44,026.40 |
| ტრანსპორტირება | € 33,874.00 |
| ჰონორარი (ტრენერები, კონსულტანტები, მკვლევარები, სტუდენტები) | € 41,896.10 |
| ვიდეო, თამაშები, IT მხარდაჭერა, /ვებ-გვერდის მართვა | € 13,808.74 |
| ბეჭდვის ხარჯები | € 8,394.47 |
| თარგმნის ხარჯები | € 14,036.45 |
| კაპიტალური დანახარჯები | € 669,559.89 |
| კონფერენცია/ტრენინგი/ვორქშოფი/ფოკუს ჯგუფის ხარჯები | € 81,054.30 |
| საბანკო ხარჯები | € 1,150.22 |
| სხვა ხარჯები | € 7,528.10 |
| **ჯამი** | **1,340,884.81** |

WWW.MDFGEORGIA.GE
WWW.MYTHDETECTOR.GE
WWW.MILLAB.GE